საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ხუთშაბათი, 3 თებერვალი 1921 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნაწილი განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, მესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—82

№ 25

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 25

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: საშა, ლიზა და ოლღა, სიძეები კირილე და ავთანდილ ქუ-ნიები და კოწია ჭუბაბრია შვილებით ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობთ

**სპირიდონ ესეს ძე ჯაფარიძის**

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება სად. ქობულეთიდან 2 თებერვალს, ოთხშაბათს საღამოს ქალაქ ლანჩხუთში.

(476—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: ბებულლე ივანე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, დედა ნინო ივანეს ასული, მამა კონსტანტინე იოსების ძე, ძმა ვიქტორი კონსტანტინეს ძე, რძლები პროსკოვია პეტრეს ასული, ნადეჟდა ნიკოლოზის ასული და ძმისწული ნინუსია სვიმონიშვილები, დედამთილი ანასტასია ალექსანდრეს ასული და მაზლი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილები, აუწყებენ ნათესავთ ნაცნობებს და მეგობრებს რომ ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა უდროვოთ გარდაცვალებულ დაუვიწყარი საყვარელ და ძვირფასი

**ელენე კონსტანტინეს ასულის ბარათაშვილის**

სულის მოსახსენებლათ კვირას, 6 თებერვალს დილის 11 ნახ. საათ.

(432—4—1)

გულდამწვარი დედა ლიზიკო წიტაიშვილი, ძმები: კალისტრატე და შალიკო, დები: მარია, ალექსანდრა და სხვები, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის უსაყვარლესი მეექვსე კლასის მოწაფის

**მიშა კიკვარდის ძე წიტაიშვილის**

უდროვოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა დ. ჩოხატაურში 1 ლ თებერვალს.

(439—1—1)

## მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც აქვთ გასასყიდი ხორბალი და ქერი სიღნაღისა და თელავის მაზრებში, ნება ეძლევათ გამოიტანონ ტფილისის ან სხვა, საქართველოს საზღვრებში, ბაზარზე თავისუფალ ფასებში გასასყიდად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნახევარი გამოსატანი ხორბლისა და ქერისა ჩააბარონ ადგილობრივ რწმუნებულთ: ხორბალი 2.500 მან. და ქერი—1.700 მან. ფუთი. გამოსატანი რაოდენობა ოპლეულობისა არ უნდა იქნეს ორას ფუთზე ნაკლები. ეს განცხადება ძალაში რჩება ამ წლის პირველ მარტამდი. (ნ. 7—4)

სრ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ შედგენილი ა. წ. 10 თებერვლამდე გამოვა

## წლიური კედლის კალენდარი

ფერადი და სქელ ქაღალდზე დამზადებული და დასურათებული ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა ცხოვრების ეპიზოდებით. დაკვეთა შეიძლება კავშირის ბინაზე პლეხანოვის პრ. № 139.

(ნ. 7—2) გამგეობა.

## რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეომართა ობლების ხრულ აღწერას რისთვისაც საჭიროა

## ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისათვის, გარდა ზუგდიდისა. ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40,000 მან. წარმოდგენილი უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიაც ის მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება შეიძლება კავშირის ბინაზე ყოველ დღე ქ. ტფილისში, პლეხანოვის პრ. № 139, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

(ნ. 14—2) გამგეობა.

## სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“-ს

გამგეობა ამით აცხადებს, რომ თანახმად წევრთა განცხადებისა და საბჭოს დადგენილებისა საზოგადო კრება გადაიდო მარტის 25 თვის (ძველი სტილით) ნაცვლად თებერვლის 10-სა ვინაიდან დოლობა ხელს უშლის.

(409—3—2)

4 თებერვალს პრასკევს დანიშნულია

## შეჯიბრებული ვაჭრობა

ცხენებისა ს. გ. მთავარ შტაბის სათადარიგო ცხენების განმანაწილებელ განყოფილებაში დილით 11 საათზედ. (437—1—1)

## სახელმწიფო ოპერა

ხუთშაბათს, 3 თებერვალს

## აბესალომ და ეთერი

კვირას 4 თებერვალს კარნავალი მორდკინის და პ-ეტცკის მონაწილეობით. შაბათს, 5 თებერვალს ოპერა მუშების სათვის დონ-ჟუანი. დასაწყისი სრულ 8 ს.

(ნ. 1—1)

## საჭიროა გამოცდილი მოანგარიშე

აბაშის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი „ოდიშისთვის“

ცნობებისათვის მიმართონ: აბაშა თ. მ. ძველაიას. სასურველია მოკლე curiulum vitae გამოიგზავნოს ადრით. (ნ. 3—1)

## სახელმწიფო დრამის თეატრი

### ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, თებერვლის 3-ს — მეოთხედ — **მარიამ მაგდალელი**

შაბათს, თებერვლის 5-ს — მეხუთედ — **სამშობლო**

კვირას, თებერვლის 6-ს

**საზეიმო წარმოდგენა**

საგანგებო პროგრამით. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

## ტფილისის ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ თანახმად ქალაქთა საბჭ. ხმოს. არჩევნების დებულების მე 9 და მე-10 მუხლ. ხუთი დღის განმავლობაში 2 თებერვლიდან 6 თებერვლამდე თანშესვლით იქნება საყოველთაო განსახილველათ გამოფენილი საარჩევნო სიები 1921—1923 წლეების ქალაქის ხმოსანთა ამომრჩევლებთა შემდეგ ადგილას (საკომისარიატოს ბიუროებში).

1 საკომისარიატოში—ქალაქის სასწავლებელში, ოლღას ქ. № 52.

მე-2 საკომისარიატოში—ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში, საპიორის შესახვევი № 3.

მე-3 საკომისარიატოში—ქალთა მე-3 გიმნაზიის შენობაში—ბებუთოვის ქუჩა.

მე-4 საკომისარიატოში—სახელოსნო სასწავლებლის შენობაში, ვაზარხის მოედ.

მე-5 საკომისარიატოში—ქალაქის სამკურნალოში ვორონცოვის ქ.

მე-6 საკომისარიატოში—ყოფ ნადეჟდინის თავშესაფარში რეიტერნის ქ. № 63.

მე-7 საკომისარიატოში—ავლაბრის მუშათა კლუბში.

მე-8 საკომისარიატოში პირველ კომერციულ სასწავლებელში ნიკოლოზის ქ.

მე-9 საკომისარიატოში—ქალაქის სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. № 29.

მე-10 საკომისარიატოში—სახალხო სახლში, კირკის ქ.

მე-11 საკომისარიატოში—ნაძალადევის თეატრში.

მე-12 საკომისარიატოში—რკინის გზის სასწავლებელში შერემეტიევის ქუჩა.

მე 13 საკომისარიატოში—საზურთალოს თეატრში.

ის მოქალაქეები რომლებიც შემთხვევით გამორჩენილნი არიან ძირითად საარჩევნო სიებიდან, კითილ ინებებენ და წარმოადგენენ სათანადო დოკუმენტებს აღნიშნულ ბიუროებში დამატებითი საარჩევნო სიებში შესატანათ.

საჭიროა წარმოდგენა ქალაქის გამგეობის მიერ მიცემული მოწმობის მოქალაქეობის შესახებ, ან პასპორტის, რომ ის მიწერილი იყო 1914 წლის 19 ივლისამდე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში რომელიმე ერთეულზე, სახელდობრ: ა) სოფლის საზოგადოებაზე, ბ) მესჩანთა (მოქალაქეთა) წოდებაზე, გ) ხელოსანთა ცეხებზე, დ) სასულიერო წოდებაზე და ე) თავად-აზნაურობის საზოგადოებაზე.

საკომისარიატოს ბიუროები აღნიშნულ დღეებში ღია იქნებიან დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

(ნ. 3—3)

## ახალის ტალახით სამკურნალო

ექიმ

**მ. ს ზერნოვისა**

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თიბ.)

## საქართველოს ცნობა და ინტერნაციონალი

იმ სიხარულის და ზეიმის დროს, რომლითაც ავსილია ჩვენი ერის გული საქართველოს დამოუკიდებლობის საყოველთაოდ და საბოლოოთ ცნობის გამო, ჩვენ მადლობით უნდა გავიხსენოთ იმათი ღვაწლი, ვინც ამ საქმეს უანგაროთ და ენერგიულად ხელს უწყობდა, უპირველეს ყოვლისა ღვაწლი საერთაშორისო სოციალისტური პარტიების მეთაურთა. არა ერთხელ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ: საქართველოს იურიდიული ცნობის საქმისთვის მხარი რომ არ დაეჭირა საერთაშორისო სოციალისტურ დელეგაციას, რომელიც წარსულ სექტემბერში ეწვია ჩვენს ქვეყანას, ეს საქმე, თუ სრულებით უიმედო არ გახდებოდა, საშინლად გაძნელდებოდა და დიდი ხნით დაგვიანდებოდა მაინც.

საქართველოს დამოუკიდებლობას ჰქავდა და ჰყავს მრავალი მტერი. დიდი ნიშვნელობის ფაქტია ის, რომ მისი შეურიგებელი მტრები არიან უმთავრესად შეძლებული კლასების წარმომადგენლები. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს იმ ნიკოლოზის ბიუროკრატიას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობამდის გაბატონებული იყო ჩვენს ქვეყანაში. ბატონობიდან ჩამოგდებული, ეს ბიუროკრატია მთელს ქვეყანაში შხამს და ბოღმას ანთხევს საქართველოს და ქართველების შესახებ. მეორე დაუძინებელი და, შეიძლება, კიდევ უფრო საშიში მტერი ჩვენი რესპუბლიკისა არის სომხის ბურჟუაზია: ძველი წესების დროს იგი სრული ბატონ პატრონი იყო საქართველოს დედა ქალაქში—ტფილისში, რომელთანაც მას აკავშირებდა უდიდესი ეკონომიური ინტერესები. საქართველოს დამოუკიდებლობამ საშინელი ზიანი მიაყენა ამ კლასს და ადვილი ასახსნელია ის შეურიგებლობა და გაბოროტება, რომელსაც იგი გულში ატარებს საქართველოს მიმართ. ორივე ეს მტერი შეძლებული და ფულიანი ხალხისაგან შესდგება. მას აქვს საშუალება ფართო სარბიელი მისცეს თავის გაბოროტებას და გულღვარძლიანობას. და ჩვენ ვიცით, რომ მთელ ევროპაში მოდებული იყო ათასნაირი ჭორი საქართველოს შესახებ. არ არის ისეთი ცილისწამება, რომელიც არ გავრცელებულიყოს საქართველოს დასამცირებლად. მოსყიდული პრესა და სპეციალური გამოცემანი საქართველოს სახავდენ ველურ ქვეყანად და ქართველებს ველურ ხალხად, რომლისათვისაც არ არსებობს არც სახელმწიფოებრივი, არც სახელმწიფოებრივი ზნეობა.

ჩვენი პაწია რესპუბლიკის ძალებით ჩვენ თითონ ვერ შევძლებდით ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ატეხილ კამპანიასთან ბრძოლას, ჩვენთვის რომ არ გამოეწვდინათ მძლავრი ხელი ევროპის მუშათა კლასის მეთაურებს. მათ ინახულეს ჩვენი ქვეყანა, საფუძვლიანად გაეცნენ მას და თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებისთანავე გაეწიეს ძლიერი აგიტაცია ჩვენს სასარგებლოდ. მათი მეგობრული ხმა გაისმა მთელს ევროპაში და სრულიად დაფარა ჩვენი მტრების ის გველური სისინი, რომელიც მანამდის ისმოდა ჩვენს მიმართ.

გადიკითხეთ ის ჟამნი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთა ლიგის უკანასკნელ სხდომაზე, რომელზედაც დაყენებული იყო სხვათა შორის საქართველოს მიღება—არ მიღების საკითხი ერთა ლიგაში, და მიხვდებით, თუ რა წყაროდან იღებენ თავის ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც მედგრათ უჭერენ მხარს საქართველოს ჩარიცხვას ერთა ლიგაში. გაიხსენეთ ის ცნობები, რომლებიც მიაწოდეს ერთა ლიგას საქართველოს კულტურის სიძველეზე, მისს წარსულზე, იმ როლზე, რომელიც საქართველომ ითამაშა ცივილიზაციის საქმეში, მის საზღვრებზე, მის დღევანდელ საამშენებლო მუშაობაზე და სხ. და სხ. ევროპის საზოგადოება უკვე თავისუფლად ერკვევა ჩვენს ვითარებაში, ცილისწამება და ჭორი უძლური ხდება ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩვენი ქვეყნის შესახებ სიმართლის გავრცელებაში დასავლეთის სოციალისტური პარტიების მეთაურთ მიუძღვით უდიდესი დამსახურება.

ეს დახმარება ჭეშმარიტი ინტერნაციონალური აქტია ჩვენი ევროპიელი ამხანაგების მხრით. ეს არის ჭეშმარიტი გამოხატულება იმ საერთაშორისო სოლიდარობისა, რომლითაც მუშათა კლასი ყველა კლასებზე უფრო ძლიერად არის გამსჭვალული. ამ სოლიდარობის და თანამშრომლობის წრეზეგით დაიწყო თავისი მოღვაწეობა იმ სამეცნიერო სოციალიზმმა, რომელსაც დღეს ადგია მთელი ევროპის მუშათა კლასი და რომელსაც ადგია საქართველოს პროლეტარიატიც.

საქართველოს აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მუშათა ინტერნაციონალის სხვა და სხვა ფრთების თანამშრომლობის ნაყოფია: მისი ქართული ფრთა იწვევა უმთავრესად შინაურ აშენებლობას, რომელმაც უნდა ნიადაგი მოუმზადოს მომავალ სოციალისტურ წყობილებას; ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, იტალიის პროლეტარიატი კი ჩვენი პროლეტარიატის ამ საამშენებლო მუშაობას გარედან უჭერს მხარს, დაუძინებლივ უძენს მის მეგობრებს და აჩუმებს—მის მტრებს.

## ახირებული პრეტენზია

ოპოზიციამ მოიწყურვა დამფუძნებელი კრების სალაყბოთ გადაქცევა. ზზირათ უბრალო საკითხების გარჩევას მთელი სხდომები უნდება, ხოლო კონსტიტუციის შესახებ დებატებმა ისეთი ხასიათი მიიღეს, რომ ერთი წელიწადი მაინც დასჭირდებოდა კონსტიტუციის დამტკიცებას. ამიტომ სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ ზომები მიიღო საკითხის განხილვის დასაჩქარებლად და ორატორთა ლაპარაკის დრო შეამცირა.

გ. ფირცხალავა „სახ. საქმეში“ ამას გადაჭარბებულ საჩქარეს უწოდებს. მისი აზრით ჩვენ ძლიერ ცოტა გვილაპარაკია კონსტიტუციაზე.

მართალია ე?

რასაკვირველია, არა! ამის შესახებ ჩვენ დიდ მსჯელობას არ შევუდგებით, მოვიყვანთ მხოლოდ ფაქტებს და ციფრებს, რომელთა ენა თავისთავად მჭერმეტყველურია.

ჯერ იყო და ერთ წელიწადზე მეტი კონსტიტუციის პროექტი დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში ირჩეოდა, სადაც ყველა ფრაქციებს ყავთ წარმომადგენელი. ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი დაიბეჭდა და მას ფართო საზოგადოება გაეცნა.

ის განიხილეს ყველა პარტიების კონფერენციებმა და ყრილობებმა და შეიტანეს მათი შეხედულებით საჭირო შესწორებანი.

პრესაში დაიბეჭდა მრავალი შენიშვნები და წერილები, გამოიცა ზოგიერთი ქვეყნების ახალი კონსტიტუციები და სხვ. და სხვ.

ასე მომზადებული იყო საზოგადოება, როცა დამფუძნებელი კრება შეუდგა კონსტიტუციის გარჩევას. დაიწყო ის 24 ნოემბრიდან. მას აქეთ გამართულა 17 სხდომა, ულაპარაკია 50 ორატორს. ჯერ მხოლოდ ექვსი თავის ზოგადი განხილვა გათავდა.

ცნობის ღირსია ის, რომ ოპოზიციის ორატორებს ყველაზე მეტი ულაპარაკიათ 50 ორატორიდან 17 ორატორი მოწინააღმდეგეებია. დანარჩენი 33 ორატორიდან სოც. დემ ფრაქციას, რომელიც რიცხვით ყველა ფრაქციულ ჯგუფებზე 5-ჯერ მეტია, 9 ორატორი წამოუყენებია. სოც. ფედერალისტებს ულაპარაკიათ 9 ჯერ, ამდენივეჯერ ესერებს, ხოლო ნაციონალ დემოკრატებს—6-ჯერ.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ რომ მართველ პარტიას ოპოზიციისათვის სრული საშვალება მიუცია ფართოთ ესარგებლათ დამფუძნებელი კრების ტრიბუნით. ამიტომ სრულიად უსაბუთოა მათი დღევანდელი წუწუნი და საყვედური. მათ მოიწყურვეს დაუსრულებელი ლაყბობა და ეს არ დაანება სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ, რითაც მან დაიცვა პრესტიჟი დამფუძნებელი კრების, რომელსაც ასე უტეხს სახელს ჩვენი უსუსური ოპოზიცია თავისი სკანდალური გამოსვლებით.

ი.

## პრესა

გაზ. „ნორ-აშხატავორ“-ში (№ 4) ბ-ნი ტერ სტეფანიანი ცინიზმნავს იმ გარემოებას, რომ „უკანასკნელ საქალაქო არჩევნებში, ორი წლის წინად, „დაშნაკცუტუნის“ პარტია შევიწროებისა და დევნის გამო არ იღებდა მონაწილეობას. ახალ არჩევნების შესახებ ის სწერს:

„ამრიგად, მთელი სამოქმედო ასპარეზი ქართველებს დარჩათ.

„უნდა გვეფიქრა, რომ თუ ვეშაპელი არა, სოციალ დემოკრატები და სოც. ფედერალისტები მაინც მიაქცევდენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ტფილისის ქალაქის თვითმართველობაში არ არიან სომხები. მაგრამ, როგორც სჩანს, ისინიც კმაყოფილნი დარჩენ ასეთი გარემოებით და არც კი ფიქრობენ სხვებს გაუნაწილონ პასუხისმგებლობა.

„ეს უსამართლობაა. საჭიროა, რომ ქართველების გვერდით ისხდენ სომეხ მშრომელი კლასის წარმომადგენლებიც. ამას მოითხოვს სამართლიანობა და ელემენტარული სოციალისტური პრინციპი.

„ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ საქალაქო არჩევნებში და დავიჭიროთ სათანადო ადგილები არა მარტო თვითმართველობაში, არამედ მართველობაშიც“.

## საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა და მისი შედეგები

(საუბარი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძესთან).

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრ. ლორთქიფანიძემ, მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობისა და მისი შედეგების შესახებ საქართ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს შემდეგი მოსაზრებანი გამოსთქვა:

თქვენ კითხვაზე, თუ როგორია იურიდიულად ცნობის უახლოესი და ეკონომიური შედეგები, მე ვერ შევძლებ მოგცეთ ამომწურავი პასუხი ერთი იმიტომ, რომ ეს მეტად ფართო თემაა და მეორე იმიტომ, რომ აქ გადანასკვულია მთელი რიგი იურიდიული, ეკონომიური და სხვა ხასიათის მქონე სპეციალური საკითხები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს აქტი ქართველი ხალხის ცხოვრებაში წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელსაც ყოველმხრივი მნიშვნელობა აქვს. ამიერიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არის არა დროულად შექმნილი სახელმწიფოებრივი ერთეული, არამედ ნამდვილი სახელმწიფო, რომელიც აღჭურვილია ამ ცნების ყოველგვარი ატრიბუტით. საქართველო უკვე აღარ არის საერთაშორისო კომბინაციების ობიექტი მხოლოდ, არამედ—იგი არის საერთაშორისო უფლების სუბიექტიც. მართალია, ფიქრობენ, თითქოს საერთაშორისო უფლება ყველა უფლებათა შორის უფრო ნაკლებად რეალური იყვეს, ზოგიერთები ასეთ უფლებას ფიქციადაც კი სთვლიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სრულიადაც არ არის ასე. რეალური შედეგი იმისა, რომ ჩვენ გავხდით სრულუფლებიანი საერთაშორისო სუბიექტი მეტად დიდია.

დღემდე, იურიდიულად არ აღიარების გამო, ჩვენ მსოფლიო მეურნეობის ბაზარზე არ შეგვეძლო გვქონოდა, ასე ვთქვათ, სრული სამოქალაქო ან ქონებრივი უფლებანი. მეტად ძნელი იყო საქართველოსთან და მის მოქალაქეებთან ეკონომიურ დამოკიდებულებათა დაკავშირება, ვინაიდან მეტად გაურკვეველი და სუსტი იყო საქართველოს უფლებრივი საფუძველი ასეთ დამოკიდებულებათათვის, რომ ეს მოვლენა არა, ჩვენი ეკონომიური კავშირი ევროპასთან ამდენხანს უფრო მჭიდრო და ნორმალური

# პარტიული ორგანიზაციების საყურადღებოთ

პარტიულმა კონფერენციამ 19 იანვარს იქონია რა მსჯელობა პარტიულ დისციპლინაზე, დაადგინა გაზ. „ახ. სხივი“ გამოცხადდეს ანტი-პარტიულ ორგანოთ, ხოლო მის პირდაპირ ხელმძღვანელებმა გასწყვიტონ კავშირი პარტიისთან.

ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო „სხივის“ ხელმძღვანელნი დახურავდენ გაზეთს, დაემორჩილებოდენ პარტიას და მით ჩადგებოდენ პარტიის დისციპლინის ჩარჩოში, ნამდვილათ კი, სწორეთ კონფერენციის შემდეგ „ახალ სხივმა“ აშკარა ბრძოლა გამოუცხადა კონფერენციას, ც. კომიტეტს, დამფ. კრებას, ს. დ. ფრაქციას—ერთი სიტყვით, მთელ პარტიას.

იქონია რა მსჯელობა ყველა ამაზე ც. კ-მა საკონტროლო კომისიის წევრთა თანადასწრებით ორ თებერვალს დაადგინა: გამოცხადდეს პარტიის გარეშე „სხივის“ პირდაპირი ხელმძღვანელნი: კ. ნინიძე, მუხრან ხოჭოლავა, ნ. იმნაიშვილი და ი. ფირცხალაიშვილი, ამით მათ აგრეთვე დაკარგეს დეპუტატობის მანდატი.

სათანადო ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ გარიცხონ თავისი წრიდან.

**საქ. სოც დემ. მუშ პარ. ცენტრალური კომიტეტი.**

---

იქნებოდა და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა არ იქნებოდა ასე გაძნელებული. ეკონომიური შეთანხმებანი, რომელიც გვაქვს დადებული ევროპასთან, ევროპიელების მიერ ერთგვარი „რისკის“ ქვეშ არის შეკრული. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო ცნობილი იქნებოდა სრულუფლებიან წევრად. ჩვენ კონტრაგენტებს აღარ აქვთ უკვე საფუძველი შიშისა და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი დაუყოვნებლივ შეუდგებიან მუშაობას. ევროპასთან სამეურნეო დამოკიდებულების განმტკიცების საქმეში დიდი დაბრკოლება არის გადალახული და ამ სფეროში მუშაობა მეტად უნდა გაცხოველდეს. საერთაშორისო ნოტარიატს, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა, აღარ აქვს საფუძველი არ მიიღოს საქართველოს ხელწერილი, ვინაიდან იგი არის სამოქალაქო უფლების უფლებამოსანი სუბიექტი. თუ რამდენათ არსებითია ეს მხარე ჩვენთვის, ამას თქვენ დაინახავთ იმ ეკონომიურ მუშაობის გათვალისწინებით, რომელსაც აწარმოებს რუსეთის წარმომადგენელი კრასინი ლონდონში. თქვენ იცით, რომ კრასინის ყველა პირობას და შეთანხმებას წინ ეღობება ინგლისის სასამართლოს დადგენილება, და ეს იმიტომ, რომ რუს. სოც.-ფედ. რესპ. ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი. ეს არის მიზეზი, რომ რუსეთის ეკონომიურად დაკავშირებას ევროპასთან არ ექნება მტკიცე უფლებიანი საფუძველი.

ამიერიდან ჩვენ უფრო დამშვიდებით და დარწმუნებით დავაყენებთ ჩვენი მოქმედების პირველ რიგში ეკონომიურსა და ფინანსიურ საკითხებს. ჩვენი დაუყოვნებლივი და მორიგი მიზანი არის ნახევრად რუსული ბონებიდან საკუთარ მტკიცე ფულის სისტემაზე გადასვლა. დიპლომატიურ დამოკიდებულების საკითხის შესახებ ჩვენ ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება. დღემდი ჩვენ გვქონდა განსაკუთრებული მდგომარეობა და ამიტომ აქ მყოფ დიპლომატიურ წარმომადგენლებსაც განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდათ. ამიერიდან კი საქართველოს მიმართაც გატარებული იქნება საერთაშორისო ნორმების მთელი კოდექსი. იტალიამ უკვე მოახდინა სათანადო ცვლილებანი თავის წარმომადგენლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ საქმეში დიდი ღვაწლი გასწიეს იმ ადგილობრივმა მისიებმა, რომლებიც ამ ჟამად აქ იმყოფებიან ან იყვნენ აქ წინეთ. ზედმეტია, რასაკვირველია, იმ აქტის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ლაპარაკი, რომელსაც არა მარტო საქართველოს ცხოვრებაში, არამედ მთელ დასავლეთ აზიაში და აღმოსავლეთ ევროპაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მოკავშირეთა ეს გადაწყვეტილება მეტად სიმპატიურია: იგი გვიჩვენებს, რომ ბრიანის მთავრობაში შევლისთანავე საფრანგეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში რუსეთის საკითხის შესახებ, დიდი გარდატეხა მოხდა. „მთლიან, განუყოფელ რუსეთს“ ფეტიშს მოკავშირენი თანდათან სცილდებიან და, როგორც სჩანს, იწყება ეგრეთ წოდებულ რუსეთის საკითხის განხილვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალეთის საკითხიც მალე გადაწყდება. და ეს მოხდება სევრის ხელშეკრულების გადასინჯვით და შიგ არსებითი კორექტივების შეტანით.

თქვენ მეკითხებით, თუ როგორ პოლიტიკურ გავლენას მოახდენს ეს აქტი თვით შინაურ ცხოვრებაზე. ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო: ნუ თუ ყოველი ჩვენგანი არ გრძნობს მომხდარის სიძლიერეს და სიდიადეს. ყოველი ჩვენგანი კვირას აქეთ, როცა მივიღეთ ეს ცნობა, ხომ უფრო ძლიერად გრძნობს თავს, ვიდრე წინად? მთლიანი რესპუბლიკა გაცილებით უფრო ძლიერი შეიქნა, ვიდრე წინეთ. საქართველოს რესპუბლიკა დღემდე მხოლოდ ფაქტი იყო, მისი ისტორიის ფურცლებიდან ამოშლა შესაძლებელი იყო ასეთივე ფაქტის საშვალებით, შეიძლება ასეთი ცდუნება ვინმეს კიდეცაც ჰქონდა, მაგრამ ახლა საქართველოს არსებობა არა მარტო ფაქტია, არამედ იგი უფლებაც არის. მართალია, დიდია ფაქტის სიძლიერე და უფლების სიმართლე, მაგრამ ჩვენთვის ამ ჟამად განუზომლად დიდია უფლების სიძლიერეც, ვინაიდან თვით ჩვენი იურიდიული დამოუკიდებლობა არის უზარმაზარი რეალური ფაქტი და დიდი ძალა.

ჩვენსა და რ. ს. ფ. ს. რ. შორის შექმნილ დამოკიდებულების შესახებ ვისაუბროთ შემდეგში, ვინაიდან ეს საკითხი სრულიად დამოუკიდებელი თემა არის.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

თებერვლის 2.

## რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

**ჩინელები ხარბინში.**

**მოსკოვი.** 2 თებ. ჩიტა. 26 იანვარი. ხარბინში რუსული სასამართლო და საპყრობილეები ჩინელების განკარგულებაში გადავიდა. საპყრობილეში მყოფი სამასი რუსის მოქალაქის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. რუსეთის შავრაზმელებმა ჩინელებთან სხვადასხვა დამოკიდებულება დაიკავეს, ამიტომ ჩინელები რუსეთის დემოკრატიას მეტად ცუდათ ეპყრობიან.

**ევგ. გეგეჭკორის განცხადება.**

**პარიჟი.** 30 იან. ფრანგულ გაზეთებში გამოქვეყნებულია პარიზში მყოფ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გეგეჭკორის შემდეგი ოფიციალური ცნობა: თანახმად საქართველოს მთავრობიდან მიღებულ ცნობებისა თფილისიდან, სტამბოლის ის დეპეშა, რომელიც საქართველოს მთავრობას აწერს განზრახვას დაიწყოს ახლო მომავალში შეიარაღებული შეტევა აზერბეიჯანისა და რუსეთის წინააღმდეგ, იმ კრიზისის გადასაწყვეტად, რომელიც შექმნა ბაქოდან ნავთის მოწოდების შეწყვეტამ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. საქართველოში არ ფიქრობენ დაიწყონ ომი, ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს მიმართული იგი და საქართველო არას დროს არ მიმართავს იარაღს, მით უმეტესად, თავის მეზობლებთან არსებულ ეკონომიურ უთანხმოების გადასაწყვეტად. რესპუბლიკა მზად არის შეიარაღებული ძალებით დაიცვას სამშობლო, მაგრამ იგი ამ ძალებს აგრესიული მიზნით არას დროს არ გამოიყენებს. რაც შეეხება საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტს, რაც გამოწვეულია მეზობლების მიერ ხელმოწერილ სავაჭრო ხელშეკრულების აუსრულებლობით, საქართველოს მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომას ამ კონფლიქტის მშვიდობიანათ მოსაწესრიგებლათ.

**კრაპოტკინის ავადმყოფობა.**

**მოსკოვი.** 1 თებერ. პეტრე კრაპოტკინის ავადმყოფობის მიმდინარეობას იანვრის 30 დან გაუარესება დაეტყო. ძილის შემდეგ კრაპოტკინმა შესწყვიტა ლაპარაკი, ტემპერატურა და პულსი ნორმალური აქვს. ავათმყოფს ცნობიერება არ დაკარგვია. ქალაქ დმიტროვში კრაპოტკინთან სასწრაფო მატარებლით გაემგზავრა ექიმების კონსილიუმი პროფესორ პლეტნიევის მეთაურობით.

**უკრაინის ბანდიტები.**

**კიევი.** 29 იანვ. უკრაინაში ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებს კიევისა და კოროსტენის მაზრაში ბრძოლას გადამწყვეტი ხასიათი აქვს. თითქმის ყველა ბანდიტები დაჭერილია.

## გერმანული ცნობები

**რეიხსტაგის სხდომაზე.**

**ნაუენი.** 2 თებ. რეიხსტაგის დღევანდელი სხდომა მეტად მრავალრიცხოვანი იყო. საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმონსმა გააკეთა რა მოხსენება უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბების გამო, წაიკითხა მთავრობის სახელით განცხადება ანტანტის წინადადების შესახებ და აგრეთვე იმ ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმასაც აპირებს მთავრობა ახლო მომავალში. მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობას არ მიუღია ჯერ-ჯერობით ცნობა ლონდონის კონფერენციაზე მ წვევის შესახებ, ამიტომ ჯერ-ჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია მისი მიღება ან უარყოფა. ყოველ შემთხვევაში, მე დავალებული მაქვს განვაცხადო, რომ ის შეთანხმება, რომელიც დაიდვა ანტანტის შორის, შეუძლებელია განვიხილოთ და მივიღოთ მომავალ მოლაპარაკებისათვის საჭირო ხელსაყრელ პირობათ. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, დაასრულა მინისტრმა, უნდა მიიღონ სახეში ის გარემოება, რომ თუ ჩვენ გვაიძულებენ მათი წინადადების მიღებას, ცხადია, ისინი ვერ მიიღებენ გერმანიისაგან იმას, რასაც მისცემდა გერმანია ნებაყოფლობითი შეთანხმებით. მინისტრის განცხადება სრული სიმშვიდით იქნა მოსმენილი. განცხადება რეიხსტაგმა მოიწონა. თავმჯდომარემ წინადადება მისცა პოლიტიკურ პარტიებს მთავრობის დეკლარაციის შესახებ აზრის გამოთქმა გადადვან შემდეგი სხდომისათვის, რომელიც ამ დღეებში მოხდება.

**პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებანი.**

გერმანული პრესა ანტანტის მიერ შექმნილ მდგომარეობას ადარებს იმ მძიმე წუთებს, როდესაც გერმანიის მთავრობა იძულებული იყო მოეწერა ხელი საზავო ხელშეკრულებაზე და მით აეცდინა მოკავშირეთა ახალი შეტევა. გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ფრანგული პრესა ადასტურებს მოკავშირეთა განზრახვას რაც გამოიხატება მოკავშირეთა მიერ რურის რაიონის ოკუპაციის სურვილში, და იქ ისეთი მმართველობის შემოღებაში, როგორიც არის ეგვიპტეში, საბერძნეთში და ოსმალეთში. „ბერლინერ ტაგებლატი“ აფრთხილებს მოკავშირეებს არ გაიმეორონ ის შეცდომა, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების დადების დროს იყო ჩადენილი. სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსი“ სწერს: არ არის ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის ნება სურვილის წინააღმდეგ ანტანტის ჩვენებებს დაემორჩილოსო. „როტე ფანე“ ფიქრობს, რომ ამ მდგომარეობიდან ერთად ერთ გამოსავალს საბჭოთა რუსეთთან კავშირი შეადგენსო. „დეიტშე ცაიტუნგი“ აღნიშნავს: ფრანგები ცდილობენ გაატარონ ძალადობის პოლიტიკა. „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებანი არასოდეს არ განხორციელდებაო და სხ.

**სიმონსის სიტყვის შემდეგ.**

რეიხსტაგში სიმონსის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელიც შეეხებოდა იმას, რომ გერმანიას არ შეუძლია გადაიხადოს 226 მილიონი მარკა ოქროთი—თანაგრძნობა იპოვა, როგორც საზოგადოებაში, აგრეთვე პრესაში. მაგრამ ამ სიტყვის შთაბეჭდილება შეამცირა სიმონსის განცხადებამ, რომელიც შეეხებოდა გერმანიის კონტრ-წინადადებას მოკავშირეთადმი. სიმონსის სიტყვით გერმანია ამ კონტრ წინადადებაში აღნიშნავს იმ მაქსიმალურ თანხას, რომლის გადახდაც მას შეუძლია. საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვის შემდეგ გერმანულ სახალხო პარტიის დეპუტატთა თათბირმა მიიღო რეზოლუცია კაბინეტის გადადგომის შესახებ. ახალ კაბინეტში უნდა შესულიყვნენ ყველა პარტიის წარმომადგენლები, გარდა კომუნისტებისა. სოციალ დემოკრატები არ დაეთანხმენ ამ წინადადებას.

## ფრანგული ცნობები

**საბერძნეთი და მოკავშირეები.**

**ლიონი.** 2 თებ. ოროშბათს არისტიდ ბრიანმა მიიღო ვენიზელოსი. ბოტევემ კაბინეტის წევრთა და რესპუბლიკის პრეზიდენტ მილერანის სახელით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბრიანს მიულოცა მოკავშირეთა კონფერენციაზე მიღწეულ შედეგების გამო. საბერძნეთის წარმომადგენლათ ლონდონის კონფერენციაზე თებერვლის 21-ს იქნება რალისი.

**მარშალი პილსუდსკი.**

მარშალ პილსუდსკის საფრანგეთში ჩასვლის გამო სახალხო განათლების მინისტრმა გასცა განკარგულება, რომ თებერვლის 5 საფრანგეთის ყველა სკოლაში შედგეს გაკვეთილები პოლონეთის ისტორიის შესახებ.

**ექს-კაიზერის გემი.**

ექს კაიზერის კუთვნილი გემი „მეტეორი“ მივიდა ბარსელონაში, სადაც იგი 9 მილიონ მარკათ გაიყიდება.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

2 თებერვალი.

**კ. კაუცკის წიგნი ინგლისურ ენაზე.**

**ლონდონი.** ინგლისური პრესის ცნობით კარლ კაუცკის წიგნი „ტერორი და კომუნიზმი“ ინგლისურ ენაზე გადაითარგმნა. თავის წიგნში კაუცკი სწერს: ბოლშევიზმი არის კარლ მარქსის თეორიის სრული გადამახინჯება.

**რუსეთის ლტოლვილები ევროპაში.**

**პარიზი.** „ფიგარო“ იუწყება: რუსეთის ლტოლვილთა რიცხვი დასავლეთ ევროპაში მილიონს აღემატება. არა ნაკლებ მილიონისა იმყოფება პოლონეთში. გარდა ამისა გერმანიაში იმყოფება დაახლოვებით 550,000 რუსი ლტოლვილი, ინგლისში—15,000 და საფრანგეთში 175.000.

**იტალიაში.**

**ლონდონი.** „ტაიმსი“ ბეჭდავს მილანიდან მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ბოლონიში და როვიგოში ნაციონალისტ-ექსტრემისტებისა და ბოლშევიკებს შორის ახალი შეტაკებანი მოხდა. ბოლონიში და როვიგოში შეტაკების დროს დაიჭრა რამოდენიმე კაცი. მიუხედავათ ასეთი შეტაკებისა იტალიაში მაინც საგრძნობი მშვიდობიანობა მყარდება. სამხრეთ სლავიასთან დადებულმა ხელშეკრულებამ და ფიუმეს ინციდენტის დასრულებამ იტალიის მცხოვრებლებზე გამაფხიზლებლად იმოქმედა. ცხოვრებას საერთო გამოცხოვლება ეტყობა. ხალხი დარწმუნებულია, რომ სოციალისტების მომავალ კონფერენციაზე კომუნისტები სასტიკად დამარცხდებიან მით უმეტეს, რომ მცხოვრებლებში ბოლშევიზმი ვერავითარ თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს.

**უმუშევართა რიცხვი ჰოლანდიაში.**

**როტერდამი.** უმუშევართა რიცხვი ჰოლანდიაში უკანასკნელ ხანაში მეტად გაიზარდა. უმუშევართა რიცხვი განსაკუთრებით თამბაქოსა და ძვირფას ნივთების დამამზადებელ ქარხნებში გაიზარდა. მეტად შემცირდა შაქოლადის წარმოება. როტერდამის გაზეთი „ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ მდგომარეობა იმდენად საშიშ ხასიათს იღებს, რომ პარლამენტის სოც.-დემ. ფრაქციამ დაადგინა შეიტანოს პარლამენტში შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა ზომების მიღებას ფიქრობს მთავრობა ასეთი ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

**არალეგალური მუშაობისათვის.**

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იუწყება: მოსკოვის ბოლშევიკების მემარცხენე ფრთის გამარჯვება პარტიის ზომიერ მიმდინარეობაზე ამტკიცებს, რომ ბოლშევიკები ემზადებიან არა სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისათვის დასავლეთ ევროპასთან, არამედ ისინი ემზადებიან ინგლისში და სხვა ქვეყნებში არალეგალურ მუშაობის გასაძლიერებლად.

## საგ. საქ. სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელმა ბ-ნ შეინმანმა საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო გამოუგზავნა შემდეგი მილოცვა წერილობითი:

„გავიგე რა გაზეთებიდან შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა, ვასწრაფი, ბ-ნო მინისტრო, გილოცოთ თქვენ და თქვენს მთავრობას ჩემი მთავრობისა და პირადათ ჩემი სახელით ფრიად გულწრფელი მილოცვა ამ ამბის გამო.

„რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელმაც აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. მით უფრო დიდი სიხარულით ეგებება ამ ცნობას, რომ ეს ნიშნავს აღიარებას რუსეთის დიდი პროლეტარული რევოლიუციის მეოთხე წელზე მისი ერთიერთი საერთაშორისო ლოზუნგის გამარჯვებისა და უარყოფას ანტანტის სახელმწიფოთა მიერ მთლიანი და განუყოფელი შავი რუსეთის აღდგენის იდეისა.

2 თებერვალი 1921 წ.

**თფილისი** თებერვლის 2, საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულათ ცნობის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის ამსრულებელი საბახტარაშვილი ინახულეს და მიულოცეს საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა შევალიემ, გერმანიის ელჩმა ულრიხ რაუშერმა, იტალიის ელჩმა ჩერუტტიმ, ანგორის მთავრობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა კიაზიმბეიმ და ლატვიის მთავრობის წარმომადგენელმა კაცენსმა. (სლ).

# ახალი ამბები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა სამ ზრო ერობათა გამგეობებს მიმართა შემდეგი ცირკულიარით: როგორც სამხედრო სამინისტრო იტყობინება, მიუხედავათ ჯარის ნაწილების ადგილობრივ თვითმართველობებისადმი მიმართვისა დეზერტირების მიერ გატაცებულ სახაზინო ნივთების უკან დაბრუნების ან მათი ფასის ანაზღაურების შესახებ, თვითმართველობები არამც თუ არ იღებენ შესაფერის ზომებს, არამედ უმეტეს შემთხვევაში, უპასუხოთაც კი სტოვებენ ასეთ მიმართვებს. ვინაიდან სახელმწიფო ქონების ასეთ გაფლანგვის უყურადღებოთ დატოვება ყოვლად დაუშვებელია, სახელმწიფო თვალსაზრისით, გთხოვთ მიიღოთ ყოველივე თქვენგან დამოკიდებული ზომები, რათა შემდეგში ყველა გატაცებული სახაზინო ნივთები ჩამორთვას დამნაშავეთ ან გადახდეთ მათ სრული ღირებულება საკუთარი ქონებიდან. უკანასკნელ შემთხვევაში გადახდილი ნივთების საფასური უნდა ეგზავნებოდეს ფოსტით ცნობის მ მწოდებელ ჯარის ნაწილის (საქართველოებს) ფულის ხაზინაში შესატანათ სამხედრო სამინისტროს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის § 1, მუხ. 2-ს კრედიტის აღსადგენათ.

**მწერალთა კრება.** იანვრის 30 შესდგა საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ მოწვეული ქ. თფილისში მყოფი მწერალთა კრძო კრება. კრების საგანი იყო: მწერლობის და მწერლების მდგომარეობის საკითხი. კრებამ ერთხმად დაადგინა: არჩეულ იქნას კომისია 5 კაცისაგან შემდგარი, რომელმაც დაევალოს შეიმუშაოს თეზისები შემდეგი მუშაობის შესახებ და წარმოუდგინოს მწერალთა მომავალ კრებას. კომისიაში არჩეულ იქნენ: ტიციან ტაბიძე (წერ. კავშირის საბჭოდან), ი. ეკალაძე, დ. მეგრელი, დ. თურდოსპირელი და ვ. კოტეტიშვილი. შემდეგი კრება დანიშნულია კვირას, 6 თებერვალს, დილის 11 საათზე.

**საქართველოს იურიდიული ცნობა.** მასწავლებელთა კავშირში იანვრის 31 ს საღამოს შესდგა საქ. მასწ. კავშირის ახლად არჩეული საბჭოს სხდომა. სანამ საბჭო მორიგ საკითხების გარჩევას შეუდგებოდა, თავმჯდომარემ, ალ. მდივანმა, მიულოცა მას სასიხარულო ამბავი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობისა და წინადადება შეიტანა გაეგზავნოს მისალოცი დეპეშები მთავრობას, განათლების მინისტრს, დამფუძნებელ კრებას, ჯარს და გვარდიას. ამ წინადადებას საბჭო ერთხმად ღებულობს და ავალებს ბიუროს გაგზავნოს შესაფერი დეპეშები. გარდა ამისა საბჭო ადგენს: მიმართოს პრეზიდიუმმა საქართველოს პროფეს. კავშირთა ცენტრს, რათა მან დანიშნოს ერთი დღე და მოაწყოს საერთო მანიფესტაციები საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად, რომელშიაც მასწავლებლები და მოსწავლენი მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას.

**პარტიული ფონდისათვის** ამხ. პეტრე ტარასაშვილისაგან მივიღეთ 1000 მან.

**სტუდენტთა სასარგებლოდ.** ქალ. მოურავმა ბ. ვ. ჩხიკვიშვილმა მიიღო დამატებითი შემოწირულება სტუდენტთა სასარგებლოთ შემდეგ პირთაგან: ანგორის მთავრობის წარმომადგენელ პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეისაგან—15,000 მ სპარსეთის გენერალური კონსულის თავიხანისაგან—20,000 მან. და ბ. რაიხერისაგან—10,000 მან. ფული გადაეცა დანიშნულებისამებრ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით ქალ. მოურავი მადლობას უძღვნის შემომწირველთ. შემოწირულება გრძელდება.

**მესამე ათასეულში.** დღეს, თებერვლის 3, მესანგრეთა თეატრში (ველაბარი) აჭარის ჯარისკაცების მიერ წარმოდგენილი იქნება პ. ირეთელის 5 მოქმედებიანი დრამა „დამარცხებულნი“. დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ ს.

**თფილისის მეეტლეთა პროფესიონალურ კავშირში.** 27 იანვარს საზოგადო წლიურ კრებაზე წარსული წლის ანგარიშები სავსებით მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა; 1921 წ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა. ამასთანავე კრებამ ერთხმად დაადგინა შექმნას ისეთი თანხა, რომელიც ნებას მისცემს გამგეობას იბრძოლოს ბაზარზე სპეკულიაციას დაბალ ფასებში ფურაჟის მოპოვებით მეეტლეთათვის მით შეღავათი მისცეს მოქალაქეთ ხელმისაწვდომ ფასებში ისარგებლონ ეტლებით. გამგეობაში კრებამ ერთხმად იქვე აირჩია არ. ივ. ავეტიკოვი და გ. ი. გაბაშვილი მეორე წევრად მ. წვეულ იქნა ივ. ირ რცხილაძე.

**ახალი წიგნები.** ერობათა კავშირის კომიტეტი უკვე შეუდგა სხვადასხვა წიგნების ბეჭდვას. ამ ჟამად იბეჭდება და მალე გამოვა კიდევ ორი წიგნი: „სტატისტიკის საფუძვლები“—პრივ. დოცენტის კონისა, „სამელიორაციო საქმე საქართველოში“—ეგნისა. გადაეცა დასაბეჭდათ სტამბას ორი წიგნი: შიო მღვიმელისა სამი საბავშო პოემა და ალექსი მირიანაშვილისა იგავ-არაკები“.

**ბუნებისმეტყველთა შორის** ხუთშაბათს, 3 თებერვალს, საღამოს 6 ს. ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია კრება ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის მასწავლებელთა. დღიური წესრიგი: ზოოლოგიის, ანატომიის და ფიზიოლოგიის პროგრამა უმაღლეს დაწყებით სკოლებისათვის.

**სოციალური დახმარება.** კვირას, 6 თებერვალს, საღამოს 5 ს. ქალაქის გამგეობის შენობაში შესდგება თფილისის სოციალურ დახმარების ცენტრალურ საზოგადოების რწმუნებულთა საბჭოს სხდომა. ვინაიდგან კრებაზე გასარჩევი საკითხები ძლიერ რთულია და მათი გარჩევა საჩქაროდ აუცილებელია, ამისათვის გამგეობა სთხოვს საბჭოს ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ სხდომას. იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულ საათზე ე. ი. საღამოს 6 ს. კვორუმი არ შესდგა, სხდომა გადაიდება, მხოლოდ მეორე სხდომა კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

**დაიკარგა** „ერთობის“ რედაქციის სახელზე გამოცემული სახაზინო სახლის უფასო ბილეთი 1920 წლის. მპოვნელს ვსთხოვ გადმოსცეს რედაქციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბილეთი ჩაითვლება ბათილად.

— კონსტანტინე იასონიძე ...მ ერთ ... „...თობა“ ს. შარდ მეთის (რაჭის მაზრ...) სამკითხველოს.

## პარტიული კრებები

— კვირას, 6 თებერვალს, დილის ... ს. დანიშნულია თფილისის სამაზრ... კომიტეტის საშურაფო კრება. ყვე... წევრები ვალდებულნი არიან დაესწრო... 3—2

— ერთობის უბნის მუშათა კლუბ... პარასკევს, 4 თებერვალს, იწვევს საზ... დო კრებას ერთობის უბნის საქ. სოც. დემ. მ. პ. მეორე რაიონის ქვე-კოლ... ტივი. დღიური კითხვები: 1) მოხსენ... ბა ამხ. მ. რუსიასი—მომენტზე, 2) ... რჩევნო სამზადისი და 3) საარჩევ... კომისიის არჩევა. დასაწყისი საღამ... 6 საათზე. (2—1)

— მეორე რაიონული კოლექტი... სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6...

— დღეს, 3 თებერვალს, საღ. 6... შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაი... ნული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდ... მა, (კახეთის ქ. № 1),

— დღეს, საღამოს 5 ს., ბიუროს ... ნაზე, (ბებუთოვის ქ. № 22) დანიშ... ლია საქ. სოც. დემ. მ. პარტიის მ... რაიონულ კოლექტივის ახალ შემა... გენლობის წევრთა პირველი სხდომა.

— დღეს 6 საათზე განოვის ქუჩ... № 9 (მესამე სართული შესავლით... ეზოდგან) დანიშნულია მეოთხე რაი... ნის 2 და 3 მცირე კოლექტივების ... ერთებული კრება, განსახილველ... ფრიად საჭირო კითხვები, დასწრ... სავალდებულოა.

## კომუნისტური მუშაობა ჩვენში

**შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.**

(ოფიციალური განცხადება).

ვაქვეყნებთ საინტერესო დოკუმენ... საქართველოს კომუნისტური პარტი... „სახელოვანი მოღვაწეობის ისტორი... იდან“. სამწუხაროდ ამ დოკუმენტს ... საწყისი აკლია (მოხული აღმოჩნდ...) მაგრამ დარჩენილი ნაწილიც საკმარ... სად ნათელს ჰყოფს კომუნისტური პა... ტიის მზაკვრულ განზრახვებს.

აი დოკუმენტიც:

„20 კაცს აქვს საკუთარი იარაღ... გუნდის უფროსათ ინიშნება ამხ. მ... ოსი. აჯახყებისთანავე უნდა გამოყვ... ნილ იქნეს 40 კაცი.

„იარაღი, რომელიც კერძო პირ... ხელში არის, ხელში უნდა იქნას ჩაგდ... ბული მხოლოდ „რევოლუციის“ ბრძ... ნებით, სულ 40.

„ახპატაში და კოლიბში 70 კომუნი... ტია, თანაგრძნობი კი 60.

„იარაღის ქვეშ გამოსადეგარნი ... წვეულ იქნან ზურგის სამსახურში. გუ... დის უფროსი.

„რევოლსოვეტს“ უფლება ეძლე... დაითხოვოს არჩეული „რევოლ... ვეტი“ თუ იგი არა სასურველი ... მოჩნდა და მის ადგილას დანიშნოს შ... საფერი „რევოლსოვეტი“.

„თუ შევძლებით ძალა-უფლების ხელ... ში ჩაგდება, „რევოლსოვეტი“ აცხადებ... მობილიზაციას. ვინც მობილიზაციას ... ემალება, მიეცეს საგანგებო სასამართ... ლოს.

„რევოლსოვეტი“ ეხლავე თავის წევ... რების საშუალებით ადგენს მობილიზა... ციით გაყვანილთაგან გუნდებს. პრინ... ციპი დანიშვნითია.

„რევკომთან“ ახლავე სდგება რაზმ... ცენტრის დასაცავათ.

„რაზმის მოწყობა დროებით მიენდო... „რევოლსოვეტის“ წევრს ამხ. სიდრაკ... თავმჯდომარე გრ. არუსი. წევრები... მატიოს მურადიანი და სიდრაკ სარქი... სიანი. (სლ.)

## თავის მართლება ასე ... უნდა

პარტიულ კონფერენციაზე აშკარად გამოირკვა ის გარემოება, რომ „ახალ სხიველებს“ ჩვენს პარტიის დეზორგანიზაციის საქმეში ზურგს უმაგრებენ ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და ჩვენებური ძველი რეაქციონერები. დასახელებული იყო ფაქტი, რომ გაზ. „საქართველო“ ხელს უწყობდა მათ ქაღალდით და ახალი კლუბიდან ჩვენი მოწინააღმდეგენი ცნობილ „ნიშადურის“ რედაქტორის ვალერიან გუნიას მეთაურობით 50 ათასს აძლევენ „ახალ სხივს“. დასახელებული იყო დამახასიათებელი ფაქტი, როცა ბ. ვალ. გუნია ეუბნება ერთ ჩვენ ამხანაგს (რადგანაც მას ის სხიველი ჰგონებია): ის ორმოცდაათი ათასი ხომ მოგეცით და კიდევ დაგეხმარებით, ოღონდ ეს ციხე (ე. ი. სოც. დემ. პარტია) შიგნიდან უნდა დაინგრესო. თვით კონფერენციაზე მათ ვერ უარყვეს ეს ფაქტი. მათმა წარმომადგენელმა მუხრან ხოჭოლავამ ამაყად განაცხადა, რომ ის მზათ არის მიიღოს დახმარება თვით ეშმაკისა და მისი ბებიისაგან, თუ კი მას ეს გამოადგება. მან დასძინა, რომ დახმარებას მივიღებთ, მარა პირობას კი არაფერს არ მივსცემთ.

# საქართველოს იურდიულად ცნობის გამო

## კვირას, ექვს თებერვალს, მთელს რესპუბლიკაში მოეწყობა საერთო დღესასწაული: გაიმართება მანიფესტაციები და მიტინგები

ამით მან დაადასტურა წამოყენებული ბრალდება.

„ხვის" № 5-ში კი ისინი ცილის მწამებლათ ნათლავენ იმ ამხანაგებს, რომელთაც ამხილეს ისინი ამ ყოვლად დაუშვებელ საქციელში. ისინი სწერენ, რომ ქაღალდს „საქართველოდან" კი არ ღებულობენ, არამედ—იყიდეს ფირმა „სავოდან" და დააგირავეს ბანკში. ეს არ არის მართალი. ფირმა „სავოდან" მთელი ქაღალდი იყიდა გაზ. „საქართველომ" და დააგირავა სახ. ბანკში. გარდა „საქართველოს"-ა არც „ახ. ხვის" და არც ერთ რედაქციის სახელზე ქაღალდი დაგირავებული არ არის და რათ დასჭირდა „ხვა" ასეთი გამოგონილი ფაქტების დასახელება, ხოჭოლავას განცხადების შემდეგ, ეს მხოლოდ გაკვირვებას იწვევს.

რომ „ახალი „ხვის" გამოსვლებს სიხარულით ხვდებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი მარჯვნივ და მარცხნივ ეს ყველა „ახალ ხველმა" იცის, იციან ისიც, თუ რა იმედებს ამყარებენ ისინი მომავალ არჩევნების დროს „ახალ ხვზე" ჩვენს საწინააღმდეგოთ და ტყუილად აღარებენ მათ მიერ აღებულ დახმარებას ბურჟუაზიისაგან იმ ორიოდე გროშს, რომელიც ზოგიერთ სოციალისტებისადმი კეთილ განწყობილ ლიბერალს ჩვენი პარტიისათვის შემოუწირავს.

რომ ჩვენმა წარმომადგენელმა ქაღალდი იყიდა ფირმა „სავოდან" (რადგანაც ყველა ქაღალდის ყიდვა ვერ შესძლო „საქართველომ"), ეს რა მოსატანია აქ, ჩვენ არ ვიცით. ან რა კავშირი აქვს აქ იმას, რომ ჩვენმა გამომცემლობამ სტერლინგები ისესხა საზოგადოება „ჩემო"-საგან. ჩვენს გამომცემლობას იმდენი მატერიალური შესაძლებლობა აქვს, რომ, თუ ჩვენ გვენდობიან, გასაკვირი არ არის. „ახალ ხვს" კი ამის მაგვარი არაფერი აქვს. თქვენ ასახელებთ შემთხვევას, რომ ახალი კლუბიდან ჩვენს გამომცემლობასაც მიუღია ფული.

მოგახსენებთ რაშიაც არის საქმე: რევოლიუციის პირველ დღეებში ახალი კლუბის საზოგადო კრებამ დაანაწილა თავის მოგება ყველა პარტიულ გამოცემათა შორის და მათ შორის, ერთი ადგილი მექანიკურად ჩვენც გვერგო. მაგრამ სულ სხვაა, როცა საზოგადო კრება ანაწილებს პარტიათა შორის რაიმეს, და სულ სხვაა, როცა ჩუმად, საზოგადო კრების გარეშე, თქვენ იღებთ 50 ათას მანეთს. აქ მომცემმა იცის თუ რისთვის აძლევს, აძლევს კი „ციხის შიგნიდან დასანგრევად".

ეს უნდა იცოდეს პარტიის ყველა წევრმა. №

### „წითელი" სომხეთი და ანგორა

„...ლოვო"-ში მოთავსებულია ნოტა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ნარინკომდელის ა. ბეკზადიანისა (18 იანვრის თარიღით) ოსმალეთის დიდ ნაციონალურ ყრილობის (ანგორის) მთავრობის მიმართ.

ნოტა ეხება ალექსანდროპოლის რაიონს, რომელიც ამ ჟამად ოკუპაციის წესით აქვს დაკავებული ოსმალებს. ჩამოთვლილია მთელი რიგი ფაქტებისა—ძალადობის და მკვლელობების შესახებ, რომლებსაც ჰქონია ადგილი ამ რაიონში. ამის გამო თითქმის შეუძლებელი გამხდარა ალექსანდროპოლის რევკომის არსებობა და იგი სომხეთის რევკომს ზედმეტად უცვნია. სხვათა შორის, ბეკზადიანი სწერს:

„ყველა ჩამოთვლილი ფაქტების მიუდგომელი ანალიზი ნათელს ყოფს, რომ სომხეთის საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაუშვას იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის სთვლის თავისად, სხვადასხვა მოქმედებები, რომლებიც იწვევენ ქვეყნის ეკონომიურ განადგურებას და მის მცხოვრებთა შიმშილსა და ხელოვნურად სიკვდილს.

„სომხეთის საბ. სოც. რესპუბლიკის მთავრობა ამის გამო იძულებულია თქვენი სარდლობის მოქმედებებს განსაზღვრული თვალთახედვის წერტილიდან უყუროს, მიიჩნიოს ისინი, როგორც ისეთი მოქმედებები, რომლებიც იწვევენ ქვეყნის აუცილებლათ სისხლისაგან დაცლას და აგრეთვე სრულ ეკონომიურ დაცემას იმ ოლქებისას, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ხელში უნდა გადავიდნენ და თქვენს დროებით საოკუპაციო მბრძანებლობაში გადმოვიდნენ მხოლოდ ოსმალეთის იარაღის გამარჯვებით დასრულებულ ომის პროცესის დროს.

სომხეთის ხალხის სახელით, რომელსაც ძლიერად სურს რევოლიუციონურ ოსმალეთთან მეგობრულად ცხოვრება და რომელიც საბოლოოთ განთავისუფლდა თავის ქვეყნის ნაციონალიზმის ბატონობისაგან, მე იძულებული ვარ აღვნიშნო ეს ფაქტები, როგორც მეტად სახიფათო სიმპტომი, რომელიც შეიძლება დიდ დაბრკოლებათ გადაიქცეს საბჭოთა სომხეთის ხალხთა და განთა-

მალეთის რევოლიუციონურ მიზნების განხორციელების დროს.

„სავსებით დარწმუნებული, რომ აღნიშნულ ფაქტების დაფუძვაში არ შეიძლება იყოს ორი აზრი ჩვენსა და თქვენს შორის, ჩემს მთავრობას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ოსმალეთის მთავრობა არ დააყოვნებს რადიკალურ ზომების მიღებას ამ ფაქტების მოსასპობათ, რაც შეიძლება ყველაზე უფრო სწრაფათ მიღწეულ იქნეს ოსმალეთის საოკუპაციო ჯარების გუმბრის რაიონიდან და ყარსიდან ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ წაყვანით. სომხეთ. საბ. სოც. რესპ. მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ მისი სამართლიანი მოთხოვნილებანი არ შეიძლება არ იქნენ ცნობილნი მის მეგობარ ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების მთავრობის მიერ, უცდის თქვენი მთავრობის საჩქარო პასუხს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯების შესახებ, რომლებმაც უნდა მოსპონ არსებული არა ნორმალური მდგომარეობა და დაამტკიცონ გულწრფელობა მის ზრახვათა და გრძნობათა მის მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ."

### მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გამო

**რა საშუალებებით?**

პირველ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მუშათა კლასიური ბრძოლა, სრულიად ახალს პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში ჩაყენებული, ახალი გზით უნდა სწარმოებდეს. ახალს კალაპოტში დარუებული მუშათა მოძრაობა უნდა შეეგუოს და შეუთანხმდეს მომქმედ საზოგადოებრივ ძალებს და ყველა იმ პირობებს, რომელიც შექმნა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. იქავე აღვნიშნეთ, რომ მუშათა რეალური ხელფასის ზრდა პირდაპირ დამოკიდებულია საწარმოვო ძალების განვითარებაზე, შრომის განაყოფიერებაზე და საზოგადოთ სახალხო სიმდიდრის წარმატებაზე.

ყველა ამით მე იმისი თქმა არ მინდოდა, რომ მუშებმა საწარმოვო ძალების განვითარებამდე ხელი აიღონ ეკონომიურ ბრძოლაზე და თავის ცხოვრების გაუმჯობესებაზე. პირიქით, ამ ჩემი წერილების მიზანია, რომ ეს ბრძოლა ნაყოფიერათ იქმნას წარმოებული, რომ ის ჩაყენებულ იქმნას იმ ერთად ერთ შესაძლებლობის სწორ კალაპოტში, რომელიც მუშათა კლასს ახლო მომავალში შეძლებას მიახიჭებს და საბოლოოთ კი ბედნიერებას განუმტკიცებს.

ჩვენი შეგნებული და გარკვეული მუშები ერთიან და მთლიან ფრონტებით ბრძოლაში არიან აღზრდილები; ასეთივე ეკონომიური ფრონტის შექმნას მოითხოვს მათგან მიმდინარე ეკონომიურ-პოლიტიკური მომენტი და რესპუბლიკის კეთილდღეობა.

და აი ეს ერთადერთი ეკონომიური ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც დღეს გაურკვეველს ჩიხში მომწყვდეულა, აიძულებს და ავალებს მათ, რომ ამ ბრძოლის ფრონტზე მიმართონ იმ საშუალებებს, რომლებიც მათ შეძლებას მოუპოვებს და საბოლოო გამარჯვებასაც მკვიდრ ნიადაგს მოუმზადებს.

ამისათვის ჩვენ უნდა მივმართოთ მუშათა მოძრაობის ისტორიას.

როგორც ვიცით, მუშათა მოძრაობა იმ თავითვე მათმა ეკონომიურმა სიდუხჭირემ წარმოშვა და ამ ნიადაგზე ბრძოლა შექმნა საფუძვლათ მათი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლისა. და აი ამ ეკონომიურ ბრძოლის პროცესში მუშათა კლასმა გამოსჭედა უმთავრესათ პროფესიონალური კავშირები და კოოპერაცია.

პროფესიონალური კავშირები მუშათა კლასს რაზმავენ თავისი პროფესიონალური და ეკონომიური ინტერესების გარშემო. მუშები ამ ორგანიზაციის საშუალებით თავს იცავენ მათი მჩაგვრელების თვითნებობისაგან და უზომო ექსპლოატაციისაგან.

კოოპერაცია კი მუშებს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერიონ წარმოების და ნაწარმოების განაწილების საქმეში: კოოპერატივების საშუალებით მუშებს შეუძლიათ ნაყოფიერი ბრძოლა აწარმოონ როგორც მწარმოებლების, ისე გამნაწილებლების, გასპეკულიანტებულ შუამავლობის, წინააღმდეგ.

თუ ძველად ამ ორ საშუალებას მუშათა ეკონომიურ ბრძოლისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ,— ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოში მათ განსაკუთრებული, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევათ.

ძველად ეს საშუალებები თავ-დამცველი იყვნენ მუშებისათვის; ახლა, ჩვენს პირობებში კი ამასთან ერთად მათ სხვა დიდი მნიშვნელობა და დანიშნულებაც ეძლევათ.

პოლიტიკურათ განთავისუფლებული მუშათა კლასი ბუნებრივის აუცილებლობით იბრძვის ეკონომიური თავისუფლებისათვისაც; ხოლო ასეთი განთავისუფლება კი მოითხოვს მუშებისაგან ორგანიზაციულად ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევას და მის თანდათანობით გარდაქმნას თავისი კლასიური ინტერესების მიხედვით.

ეკონომიურათ ჩამორჩენილ საქართველოში მუშებს არ შეუძლიათ მძლავრი ეკონომიური ორგანიზაციების შექმნა; საწარმოვო ძალების განუვითარებლობა მათ ამის საშუალებას არ აძლევს.

გარდა ამისა შეუძლებელია შრომის საერთოდ განაყოფიერება და სახალხო სიმდიდრის წარმოება. უკეთუ საწარმოვო ძალები არ იქნებიან განვითარებულნი; შეუძლებელია მუშათა რეალური ხელფასის ზრდაც უამისოთ.

ცხადია, რომ ჩვენში საწარმოვო ძალების ზრდაში უპირველესად ყოვლისა ჩვენი მუშათა კლასი და დემოკრატია უნდა იყვნენ დაინტერესებულნი,

ამიტომ მუშათა ეკონომიური ორგანიზაციების—პროფესიონალური კავშირების და მუშათა კოოპერატივების მუშაობა მიმართული უნდა იქმნენ ჩვენი ქვეყნის საწარმოვო ძალების გაუმჯობესებისაკენ, სახალხო სიმდიდრის გამრავლებისაკენ.

ჩვენი ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისის ერთი მთავარი მიზეზთაგანია ის გარემოებაც, რომ ჩვენი უსუსური ბურჟუაზია გაბედულათ არ ჰკიდებს და ვერც მოჰკიდებს ხელს წარმოების აღორძინების საქმეს. ბურჟუაზია მხოლოდ ზედ-მეტი ღირებულებით არის დაინტერესებული; მას მხოლოდ მოგება აინტერესებს და ამიტომაც ის იწყებს სპეკულიაციას, როგორც იოლი, სწრაფი და საგრძნობი მოგების მომცემ საშუალებას.

ამიტომაც ჩვენმა მუშათა კლასმა და დემოკრატიამ თვითონ უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ საწარმოვო ძალების აღორძინებისას, შრომის განაყოფიერებისას და საზოგადოთ სახალხო სიმდიდრის ზრდისას.

რა გზით, რა სახით და როგორ უნდა შეძლოს ეს მუშათა კლასმა. ვის თაოსნობას, ვის ინიციატივას მისცეს მან უპირატესობა: კერძოს, თუ საზოგადოებრივს. სხვანაირათ, ვის ჯიბეში უნდა დააგროვოს მუშათა კლასმა ქვეყნის სიმდიდრე: კერძო პირების, ბურჟუაზიის, თუ საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ სალაროებში; კერძო წარმოების განვითარებას უნდა უფრო შეუწყოს ხელი მუშათა კლასმა, თუ საზოგადოებრივ წარმოებას, რომელსაც ჩვენს პირობებში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ეძლევა.

აი ის კითხვები, რომლებსაც არა მარტო ჩვენთვის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისათვისაც მეტად დიდი, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

მე ვფიქრობ, რომ კაპიტალიზმმა, რომელმაც წარმოშვა განმანადგურებელი საერთაშორისო იმპერიალისტური ომი, თავისი დრო მოსჭამა. მას აღარ შეუძლია ხალხთა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება და მესვეურობა. ამიტომაც ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სვებედი ხელაღებით ვერ ჩაბარდება ჩვენს გასპეკულიანტებულ, უსუსურ ბურჟუაზიას. მით უმეტეს არ ჩაბარდება, რომ ამის საშუალებას არ მისცემს მას ჩვენი გათვითცნობიერებული და ორგანიზაციულათ გაწვრთნილი მუშათა კლასი. ის თავისი ხელით თავის ზურგზე თავისუფლათ ვერ გაზრდის თავის კლასიურ მტერს, რომელიც ეკონომიურთან ერთად პოლიტიკურ მძიმე უღელსაც დაადგამს მას მომავალში.

მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ კერძო ინიციატივის ახლავე სრულიათ მოსპობა, ეს იქნებოდა ჩვენი სახალხო მეურნეობის დაღუპვა. ჩვენს ჩამორჩენილ ეკონომიურ პირობებში კერძო ინიციატივის სრულიად უარისყოფა ჩვენ ჩაგვაყენებდა იმ მძიმე დანაშაულს, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს რუსეთში.

მაშასადამე კერძო ინიციატივას დღეს დღეობით უნდა დაეთმოს ადგილი, მაგრამ იმდენათ, რამდენათაც ის სასარგებლო იქნება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მეურნეობისათვის.

უპირატესობა კი უნდა დაეთმოს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ წარმოებას, რომელსაც მუშებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. ასეთი ინიციატივის თანდათანი გამაგრება განამტკიცებს მუშათა კლასიურ პოზიციას როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში.

ამიტომაც დემოკრატიასთან ერთად მუშათა თვითმოქმედებას ეკონომიურ ნიადაგზე ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს.

ცხადია, რომ მუშათა კლასი უნდა ერიდოს ბოლშევიკურ მეთოდს, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს ეკონომიურ პირობებს და საწარმოვო ძალებს. ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ მეთოდს, რომელიც არ შეარყევს ეკონომიურ საფუძვლებს, არ გაართულებს კრიზისს და თავისი თანდათანი მიზანშეწონილი საერთო საქმიანობით გამოაჯანსაღებს ეკონომიურ ცხოვრებას.

ამ შემთხვევაში უმთავრესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მუშათა კოოპერაციას.

სოფლისა და ქალაქის მუშათა კოოპერაციას შეუძლია სოფლისა და ქალაქის ეკონომიურ-პოლიტიკური კავშირის გამაგრება. სოფლისა და ქალაქის ნაწარმოებთა კოოპერატიულათ დამზადება განაწილება, მათ შორის მიზანშეწონილათ საქონლის გაცვლა გამოცვლა კოოპერატივების საშუალებით, ერთი მთავარი საშუალებათაგანია თავაშვებული სპეკულიაციის წინააღმდეგ. ამ გზით შეიქმნება მუშათა საზოგადოებრივი, სახალხო მეურნეობა, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ექნება.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუშათა კლასი ამ გზას უკვე დაადგა. სპეკულიანტებისაგან შევიწროვებულნი თვითეული პროფესიის მუშები კოოპერატიულათ ერთდებიან, ყიდულობენ და ინაწილებენ საქონელს. ეს პირველი ნაბიჯია თვითმოქმედ მუშებისაგან გადადგმული, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებზე არ ემყარებიან და თვითონვე ცდილობენ თავისი ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ გზას მუშები მიჰყავს მთლიან მუშათა კოოპერატივების აღორძინება—გაძლიერებისაკენ; ცალკე პროფესიები შემდეგ ლოღიკურათ თავს მოიყრიან საერთო მუშათა კოოპერატიულ მოძრაობაში.

როგორც პროფესიონალური მოძრაობა არის ერთი მთლიანი ორგანიზაცია, ისე მუშათა კოოპერაცია, სადაც პროფესიონალური კავშირები მთლიანათ იქნებიან ჩაწერილნი, ერთ გაერთიანებულ ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს.

საერთოთ პროფესიონალური და კოოპერატიული მოძრაობის გაერთიანება კი მუშათა კლასს მიანიჭებს დიდ ეკონომიურ ძალას, რომელიც დიდ გავლენას მოიპოვებს როგორც წარმოების აღორძინების, ისე ნაწარმოების განაწილების საქმეში.

აი ამ გზით და ამ საშუალებებით ჩვენს მუშათა კლასს შეუძლიან თანდითანობით თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაც, რეალური ხელფასის ზრდაც და საზოგადოთ სახალხო მეურნეობის თანდითანი გარდაქმნაც თავისი საბოლოო მიზნების მიხედვით.

ი. ირემაშვილი.

### მეტი ყურადღება

პროფ. კავშირთა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა გახსნა ცენტ. მუშათა კლუბში საღამოს კურსები პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობის შესასწავლად. ლექციები იკითხება მრავალ მეტად საყურადღებო საგნებში.

როგორც ხედავთ, მიზანი ფრიად სიმპატიურია. სამ თვეში უნდა იმაცადიხონ მსმენელებმა და სათანადო ცოდნით აღჭურვილნი დაუბრუნდნენ თავიანთ ორგანიზაციებს, რომლებმაც ისინი გამოგზავნეს აქ—დედა ქალაქში ცოდნის მისაღებათ.

მაგრამ მარტო სიმპატიური მიზნის დასახვა საკმაო არ არის. აღმასრულებელმა კომიტეტმა სამოქმედო გეზი კარგი აიღო, მაგრამ მის ცხოვრებაში გატარებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, კურსებზე მრავლად არიან მსმენელები ფრიად დაინტერესებულნი. თქვენ ნახავთ აქ მოხუცებულებს, გაჭაღარავებულებს, ძველ პარტიულ მუშაკებს პოლიტიკურათ მომზადებულ პირებს.

პროფესიონალურ ორგანიზაციებს და კოოპერატივებს საუკეთესო ამხანაგები გამოუგზავნიათ ცოდნის მისაღებათ. აღმასრულებელმა კომიტეტმა, მგონია, არ იცის ეს; თორემ შეცდომებს, რომლებსაც დღეს ადგილი აქვს, არ დაუშვებდა. მე შემიძლიან დაწვრილებით მივუთითო იმ დეფექტებზე, რომლის გამოსწორებაც შეიძლება.

პროფესიონალური მოძრაობა—თავი და თავი საგანია, ჩემის აზრით. და როცა მსმენელები მხოლოდ ქართველებია და ზოგიერთი რუსულის კარგად არ მცოდნე,—რას ნიშნავს რუსი ლექტორის დანიშვნა? სტუდენტები ხომ არ ჰგონიათ აქ ყველა მსმენელები? ამასთანავე ერთად, გარდა იმისა, რომ ის რუსია,—მას ნაკლიც აქვს. მომზადებული პირია, მაგრამ ჩვენ რას გვარგებს, თუ არაფერი შეგვრჩება მისი ნალაპარაკევიდან; ის ძალზე ჩქარა კითხულობს ლექციას. სასურველია მოწვეული იქნეს ქართველი ლექტორი. მე ვფიქრობ, რომ მოგვეძებნება სათანადო ცოდნით აღჭურვილი ქართველი ლექტორი.

მეორე ფრიად საინტერესო საგანი არის პოლიტიკური ეკონომია; მსმენელები მოუთმენლად ველოდით ლექტორს. სამწუხაროდ, მსმენელები უკმაყოფილო დარჩნენ ახალგაზდა ლექტორით, რომელსაც ჯერ ჯერობით სათანადო მომზადება არა აქვს, რომ მან შესძლოს დააკმაყოფილოს უკვე ცოტად თუ ბევრად მომზადებულ მსმენელთა მოთხოვნილება.

სასურველია აღმასრულებ. კომიტეტმა ყველა ეს მიიღოს მხედველობაში და სათანადო ცოდნით აღჭურვილი ლექტორი გამოგვიგზავნოს

გარდა ამისა, საჭიროა წიგნები. ამ საქმის მოსაგვარებლად აღმასრ. კომიტეტმა უნდა მიიღოს ზომები. საჭიროა აგრეთვე განათების საქმეც მოაგვარდეს, თორემ უსინათლობით ბევრი გვაკლდება.

რ. ნიჟარაძე(?).

### სახალხო გვარდიაში

ნაძალადევის უბნის სახალხო გვარდიის შტაბი გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ერთობის" ერთ-ერთ მახლობელ ნომერში ყველა გვარდიის ნაწილების საყურადღებოთ აღნიშნულ უბნიდან გარიცხულნი შემდეგი გვარდიელნი: 1) ახობაძე პარმენ ივანეს ძე, 2) გვარამაძე იოსებ სოლომონის ძე, 3) რაზმაძე ილია ალექსანდრეს ძე, 4) მორჩილაძე თედო პეტრეს ძე, 5) მამუკოვი ალიოშ ექვთიმეს ძე და 6) ნავროზაშვილი არჩილ პავლეს ძე როგორც უწესო, ულირსნი და გვარდიის სამსახურისათვის შეუფერებელნი პირნი.

თავმჯდომარის ამხ. ს. ფარქოსაძე. დროებ. მდივანი ფოფხაძე.

### ჯარისკაცის წერილი

1920 წლის 10 ქრისტეშობისთვეს მობილიზაციით გაწვეულ იქნენ სამხედრო სამსახურში სათადარიგო ჯარისკაცნი. მათ ოჯახში არავინ დარჩენიათ მარჩენალნი, რის გამო უმეტეს შემთხვევაში ოჯახები განიცდიან შიმშილს, სიცივეს და სიტიტვლეს. ამის ნათელ საყოფად შემიძლია მოვიყვანო ჩემი მაგალითი. მთავრობამ წარუდგინა თხოვნა, სადაც მოხსენებული იყო ზემოთ აღნიშნული გარემოება. შ. ნაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა სამაზრო ერობას ამის შესახებ მოწერილობით № 27315, 14 დეკემ. სამაზრო ერობამ გადასცა ტოლის თემს (რაჭის მაზრა) მოწერილობით № 10779. მაგრამ ეს გადაცემ გადმოცემა ქაღალდებისა საქმეს არ შველის და ცოლშვილი განიცდის გაჭირვებას. როდესაც ასეთი მდგომარეობა იქმნება,—ბუნებრივია, რომ ჯარის კაცი ვერ მიაქცევს სათანადო ყურადღებას ფრონტს და მისი გულის ყური ოჯახების უზრუნველყოფის საქმეზე დაბანდდება. საჭიროა ასეთ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

მე 5 ათასეულის ჯარისკაცი პლატონ შიშინაშვილი.

1 თებერვალი.

### პასუხად კოტე აგდუშელიშვილს

(იხ გაზეთი „მიწა" 26 დეკემბ. № 40)

ბ-ნო კოტე, ჩემ მცირე განმარტებას და ღალის შეწყვეტას თქვენ ისე აუღელვებიხართ, რომ ყოველივე მოთმინება დაგიკარგავთ და ფაქტებიც სავსებით ყირამალა გადაგიტრიალებიათ. რას უნდა მივაწეროთ მაგალითად ისეთი აშკარა სიცრუე როგორც არის მტკიცება მისი, რომ „დაიფიცეს ზედაბუნეველების წარმომადგენლებმაო", როდესაც სინამდვილეში მოხდა სრულიად წინააღმდეგი ე. ი. დაიფიცეს ქვედაბუნეველებმა. ან კიდევ ის, რომ იპ. ვართაგავამ არ იცის „დიდველი". რა არის და პირველათ ეყურება ეს ამბავიო.

გარწმუნებთ თქვენ და თქვენ მეზობლებსაც, რომ არავითარ ჩემ გავლენას ღალის საქმეში ადგილი არა აქვს, არც შეცდომაში ვარ არავისაგან შეყვანილი. მე ბუნევში დაბადებული და გაზრდილი ვარ და ამიტომ სხვაზე ცუდათ არ ვიცი არც ადგილი „დიდველი" და არც მისი ისტორია. სივრცის აღნიშვნაში შეიძლება მართლაც შევცდი, მაგრამ ეს მე დიდ დანაშაულობათ არ მიმაჩნია, რადგან არასოდეს არ მითქვამს უსათუოდ ამდენი და ამდენიათქო.

პირველი დებულება ჩემი წერილისა იყო ის რომ „დიდველი" არ შეადგენს არავის კერძო საკუთრებას. ამის დამამტკიცებელი საბუთი არის მაზედ ნაშენი ციხე და ის გარემოება, რომ 1918 წლამდე ის არ ყოფილა არც გაყოფილი და არც დახნული, თუმცა ბევრ თქვენ და ჩვენ მეზობლებსაც დიდი ხანია სახნავი ადგილი საყოფი აღარა აქვთ და ძალიან ხელ ვიწროთ ცხოვრობდენ. პირადათ თქვენც დღესაც უსახლკაროთ ხართ იმ მიზეზით, რომ რიგიანი სამოსახლო არ მოგეპოებოდათ იმ დროს, როდესაც „დიდველი" შეუდარებელი სამოსახლოა. „დიდველი" რომ თქვენი ან თქვენი მეზობლების კერძო საკუთრება ყოფილიყო, ის დიდი ხანია დანაკუწებული იქნებოდა.

ჩემის ღრმა რწმენით „დიდველი" სასოფლო კუთვნილებას შეადგენს, როგორც სათემო სალხინო, სავარჯიშო და სამარი მინდორი. ასეთი ადგილები ჩვენ სოფლებში სხვებიც მოიძებნება როგორც მაგალითად: „ულერძი" ქოროთში, ან და „სახატო" ითხვისში. ეს ადგილები არავის კერძო საკუთრებას არ შეადგენს. მასზე თავს იყრის საზოგადოება სათემოთ და სანადიმოთ. ის კი ეს ადგილები საბალახოთ არიან გაშვებული.

საბალახოთ იყო აგრეთვე „დიდველიც" უკანასკნელ დრომდე და თუ ის ჰიშკრებით იყო შეკრული, ეს იმიტომ, რომ იქიდან პირუტყვები ყანებში არ გასულიყვენ და ნამუშევარი არ აეოხრებიათ. თქვენ ამბობთ, რომ ამ ადგილებზე ნაყიდობები გვაქვს გაცემულიო და ამიტომ ის ჩვენიაო. მე მიკვირს ბ-ნო კოტე, რომ თქვენ ასეთ საბუთს აყენებთ საკუთრების დასამტკიცებლად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ასეთ ნაყიდობას არაფერი ფასი თქვენთვის არა აქვს, რადგან თქვენ არავითარი უფლება არ გქონდათ გაგეყიდათ ის, რაც თქვენ არ გეკუთნოდათ. ნაყიდობას მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, რომ **ის თქვენ სხვისაგან** ამ ადგილის მეპატრონესაგან გქონდეთ ნაყიდიო. თქვენგან გაცემული ნაყიდობა კი ისეთი საბუთია, როგორც იქნება მაგალითად, ჩემ მიერ მოცემული ნასყიდობა თქვენზე მთელი საქართველოს თქვენდამი ძიკუთვნებისა, მაშინ როდესაც მე ამაზე არავითარი უფლება არა მაქვს.

არ არის საბუთი აგრეთვე არც ის ფული, რომელზედაც თქვენ უთითებთ. ეს ფული მაჩვენებელია მხოლოდ იმისი, რომ ჩვენმა რამოდენიმე მეზობელმა გამოიჩინეს მიუტევებელი გულუბრყვილობა, როდესაც ენდვენ თქვენებს და ფიცზე მიაგდეს საქმე. თქვენებმა ამით ისარგებლეს და წარმშეუხრელად შეფიცეს აშკარა სიცრუეზე. ამ ფიცმა თავის დროზე დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია თვით თქვენ წრეებშიაც. იყო შემთხვევა, როდესაც მორწმუნე პირებმა შემფიცველთა სიკვდილი ტყუილ ფიცს მიაწერეს. ფიცის ეს ისტორია საუკეთესო საბუთია იმისა, რომ საკუთრების საქმე არასოდეს ფიცით არ უნდა გადაწყდეს, რადგან არ არის არავითარი გარანტია, რომ დაინტერესებული პირი არ დაიფიცებს ტყუილზე.

არც მფლობელობის აღდგენის ისტორია არის მართლად თქვენგან გადმოცემული. ჩვენმა მეზობლებმა მხოლოდ მაშინ ასტეხეს „ხმაურობა" მფლობელობაზე, როდესაც თქვენებმა მოინდომეს „დიდველის" მისაკუთრება. პირველ და მეორე რევოლიუციის დროსაც ჩვენები გედავებოდნენ თქვენ „დიდველის" ნაწილში და გეუბნებოდნენ თქვენ, რომ ჩვენც მონაწილე ვართო, ადგილი მარტო თქვენ საკუთრებას არა შეადგენსო, არამედ საგვარეულო არისო, ამის დამტკიცება კი შეიძლება ჯერ ერთი მით, რომ ჩვენ ყველანი ერთი ბაბუის შვილები ვართ და ჩვენი ადგილმამული ერთი განაყოფია მეორე „დიდველი" ზედა და ქვედა აბდუშელიშვილების მამულებშიაც მდებარეობს და მესამეც სულ ახლო წარსულში ჩემ მახსოვრობაში ჩვენ და თქვენ გვიყავით საერთო ჩირგვნალია, რომელიც ძმგავსად „დ დველისა" საგვარეულოთ იყო დატოვებული. გარდა ამისა, ჩვენი წინაპრებისაგან გადმოცემით ვიცით, რომ „დიდველზე" იყო რაღაც დათქმული საზღვარივით, სადამდინაც მიდიოდენ ზედაბუნეშვილები.

შეცდომაში შეგყავთ თქვენ საზოგადოება მაშინაც, როდესაც ამბობთ ჩვენი მეზობლების თავდასხმაზე და ღალის აღებაზე. სინამდვილეში ადგილი ქონდა შემდეგ მოვლენას. თქვენებმა მფლობელობის აღსადგენად დაიწყეს „დიდველის" ხვნა (ნუ დაივიწყებთ, რომ „დიდველი" არას დროს არ მოხნულა) ჩვენებმა გაიგეს ეს და მოინდომეს ხელის შეშლა, რისთვისაც შორიდან მაღლობიდან აუტეხეს თქვენებს თოფის სროლა, მაგრამ ეს მოხდა მის შემდეგ, როდესაც მათ განმეორებით წინადადებაზე თავი დაენებებიათ ხვნისათვის თქვენებმა უარი განაცხადეს და განაგრძეს ხვნა.

შემდეგ საზოგადოების თხოვნით მიწათ მოქმედების სამინისტროსა და სამაზრო ერობის განკარგულებით აქ მოვიდა საგანგებო პირი, რომელმაც დაიბარა ადგილობრივი მცხოვრებნი და დაწვრილებით გამოკითხა ამ ადგილის ამბავი. გამოძიებას შედეგათ მოყვა ის, რომ ერობამ ეს ადგილი ფონდში გადარიცხა. კომისიამ ძიილო და შეინახა ღალა ამ ადგილიდან მოსული პურნახულისა. როგორც ეს ღალა ისე მეორე წელს მოსული ღალაც თქვენ მიითვისეთ და დახარჯეთ. როდესაც სენატის დადგენილებით თქვენ ეს ღალა უკან მოგთხოვეს, თქვენ აყვირდით და შეარყიეთ ქვეყნიერება—გვიშველეთ, ჩვენზე ძალმომრეობას ჩადიანო. **ერთხამ თქვენ ჩამოგართვათ უსამართლოდ დროებით მითვისებული ღალა, არც მეტი და არც ნაკლები.**

თქვენ ამტკიცებთ, რომ აქ არ შეიძლება სამეურნეო შკოლის აგებაო, რის მაგალითისათვის მგონი აკაკის მამულის ისტორია მოგყავთ. მე მგონია, რომ ეს შესაძლებელია, რადგან ჩვენი საზოგადოება შეძლებს მას, რაც ვერ

